ბრძანება

№ 37 § 2 5.07.2011

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 2010 წლის №10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 21 ივნისის #264 ბრძანების საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქუთაისის უნივერსიტეტში 2010-2011 სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის აღდგენა/გადაყვანის წესით უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველ პირთათვის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2011 წლის 1 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით.
2. სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველმა პირებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ:
   - განცხადება რექტორის სახელზე
   - ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსის შეჩერების შემთხვევაში უნივერსიტეტის წინაშე არსებული დავალიანების გასწორების დამადასტურებელი საბუთი.
3. მობილობის წესით ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველმა პირმა ზემოთ აღნიშნულ ვადაში ელექტრონული რეგისტრაცია უნდა გაიაროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე და აგრეთვე წარმოადგინოს განცხადება და ნიშნების ფურცლის ასლი უნივერსიტეტის კანცელარიაში.
4. მობილობის წესით ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველმა იმ პირებმა, რომელთაც მოიპოვეს აღნიშნული უფლება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისაგან, 2011 წლის 2 სექტემბრიდან 14 სექტემბრამდე ქუთაისის უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინონ:
   - პირადობის მოწმობის ასლი;
   - უნივერსიტეტში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;
   - სტატუს შეწყვეტილმა ან შეჩერებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ბრძანების დამოწმებული ასლი სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შესახებ;

- ინფორმაცია სტუდენტის მიერ განვლილი სასწავლო კურსებისა და მიღებული შეფასებების შესახებ იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, სადაც სწავლობს/სწავლობდა სტუდენტი (ბეჭდით და ხელმოწერით დამოწმებული ნიშნების ფურცელი)
- იმ საგანმანათლებლო დოკუმენტის ასლი, რის საფუძველზეც ჩაირიცხა მშობლიურ უნივერსიტეტში
- გამოცდების ეროვნული ცენტრის სერტიფიკატის ასლი (ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისათვის)
- მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებმა)
- პროგრამების შესაბამისობის დადგენის მიზნით შესაძლოა უნივერსიტეტმა გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

5. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების სტატუსით უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტები რეგისტრაციისათვის დამატებით წარმოადგენენ ჩარიცხვის მომენტისათვის მოქალაქეობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტის ასლს;
6. 2001 წლიდან 2010 წლის 5 თებერვლამდე ყველა გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად და უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.
7. განაცხადების და საბუთების მიღება იწარმოებს 2011 წლის 1 აგვისტოდან 14 სექტემბრის ჩათვლით შაბათ-კვირის გარდა ქუთაისის უნივერსიტეტში დილის 10-დან საღამოს 16 საათამდე (მის: ქუთაისი, წერეთლის ქ. #13)
8. მობილობის მსურველი პირი ვალდებულია პირადად გამოცხადდეს ქუთაისის უნივერსიტეტის კანცელარიაში და წარმოადგინოს ამ ბრძანებით განსაზღვრული საბუთები.
9. დაევალოს ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს მობილობის/აღდგენის სურვილის მქონე სტუდენტების მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამების უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან თავსებადობის შესახებ მოტივირებული დასკვნების მომზადება და წარდგენა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე არაუგვიანეს 16 სექტემბრისა.
10. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რექტორი: ლ. ქელბაქიანი